საქართველოს სახალხო დამცველი

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა

2015

საქართველოს
სახალხო დამცველი

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის
პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 5

გენდერული მეინსტრიმინგი: არსებული პრაქტიკა
და გამოწვევები 6

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.. 8

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 11

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები 14

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის
გამო შვებულება 15

სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე 16

მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი
მდგომარეობა 17

მედიასაშუალებების როლი გენდერული თანასწორობის
დამკვიდრების საკითხებში 18

უფლებადამცველი ქალების უფლებრივი მდგომარეობა 20

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა
და უფლებები 22

ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევები 23

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა 24

აბორტები 26

ადრეულ ასაკში ქორწინება 27

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში
ძალადობა საქართველოში 32

ქალთა მკვლელობები (ფემიციდი) 36

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული
სერვისების შეფასება 37

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება 39

ნარკომომხმარებელი ქალების უფლებრივი მდგომარეობა 40

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 42

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 44

სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობა 45

რეკომენდაციები 48

შესავალი

საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, რიგ სფეროებში არსებული მდგომარეობა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. საკანონმდებლო რეგულაციების და ეროვნული სამოქმედო გეგმების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება პრობლემის წინაშე დგას.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია ადრეულ ასაკში ქორწინების არსებული პრაქტიკის პრევენციისათვის, განსაკუთრებით მძიმეა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები, არსებითად არ გაუმჯობესებულა ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა, კვლავ დაბალია ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

მისასალმებელია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2015 წელი ქალთა წლად გამოცხადდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების ინტერესი და წინ წამოწია საკითხის მნიშვნელობა. ასევე დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოზიციები ქალებმა დაიკავეს. ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ქალის როლს და მნიშვნელობას სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების გზაზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესებში.

არაერთხელ აღინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ, საქართველოს სახელით, „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის ხელმოწერა, როგორც წარმატებული ნაბიჯი. ღრმად გვწამს, რომ კონვენციის რატიფიცირება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევის გზებს, თუმცა სამწუხაროდ, კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტი პარლამენტისათვის ამ დრომდე არ წარუდგენიათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ 2015 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო კანონპროექტი, რომლის მომზადების საფუძველი საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება გახდა. ცვლილების მიხედვით, 17–დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიებისა და პოლიციელთა გადამზადების შედეგად, 2015 წელს გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის მასშტაბები. დამცავი ღონისძიებების უფრო ხშირმა გამოყენებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სერვისების ეფექტიანი მიწოდების მნიშვნელობა.

გენდერული მეინსტრიმინგი: არსებული პრაქტიკა და გამოწვევები

გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ტიპის საქმიანობაში. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ის ორგანიზაციები და ინსტიტუტები, რომლებიც გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკას ატარებენ, ორგანიზაციული განვითარების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან.

აღნიშნულ მოსაზრებას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმატებული პრაქტიკაც ადასტურებს. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების საკითხს და შიდა ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას, როგორიცაა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ასევე სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულთათვის.

გენდერული მეინსტრიმინგის არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შესასწავლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გააანალიზა აღმასრულებელი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა. შესწავლილი იქნა ყველა დონეზე დასაქმებულ პირთა გენდერული შემადგენლობა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ანდა სტრუქტურული ერთეულის არსებობისა და ფუნქციონირების საკითხი.

გენდერული მეინსტრიმინგი შეფასების პროცესსაც მოიცავს და ამავდროულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გენდერის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების არსებობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფო უწყება ახდენდეს ასეთი მონაცემების შეგროვებას და შემდგომ ანალიზს, ასევე სიღრმისეულად ანალიზდებოდეს გამოვლენილი ხარვეზები. შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ რიგი სამინისტროების, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დასაქმებულთა გენდერული შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია არ გროვდება. მით უფრო არ ანალიზდება და არ ქვეყნდება.

შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, როგორც სამინისტროებში, ისე სახელმწიფო მინისტრის აპარატებში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, თუმცა ხელმძღვანელ პოზიციებზე ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. აღნიშნული გარემოება შესაძლოა უკავშირდებოდეს ე.წ. შუშის ჭერის არსებობას, რაც უხილავ ბარიერს წარმოადგენს და ხელს უშლის ქალთა თანამდებობრივ დაწინაურებას ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას. აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა გენდერული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება:

აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში



წარმოდგენილი შედეგებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები, სადაც დასაქმებულ კაცთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ქალებისას, ასეთივე ვითარებაა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში, რაც საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს სრულად პასუხობს.

გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა და გაძლიერება, ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ არცერთ სამინისტროს არ აქვს სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი, სამმართველო, ცენტრი) გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მხოლოდ სამ სამინისტროშია დამტკიცებული პასუხისმგებელი პირი, ხოლო დანარჩენ უწყებებში საქმიანობას ითავსებს, ან საჭიროებისამებრ განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი.

გენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელ პირთა რაოდენობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში



აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თითოეული უწყების საქმიანობაში. ერთი მხრივ თავად უწყებას გაუადვილდება ინფორმაციის თავმოყრა და ინსტიტუციური მეხსიერების ჩამოყალიბება, ხოლო მეორე მხრივ, დადებითად აისახება გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე ფუნქციონირებდეს ერთი უწყებათაშორისი მექანიზმი გენდერული თანასწორობის საკითხებზე. გამომდინარე იქიდან, რომ არაერთი სამუშაო ჯგუფი, კომისია და საბჭოა შექმნილი, მათ საქმიანობაში მონაწილე პირები კი თითქმის ერთი და იგივენი არიან, მათი საქმიანობაც არასისტემატიზებული და გაფანტულია.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს მოიმატა იმ ადგილობრივი თვითმმართველობების რიცხვმა, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - „გენდერის მრჩეველი“ განისაზღვრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი მეტყველებს ქალთა დაბალ წარმომადგენლობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მაშინ, როდესაც, საკრებულოებში, გამგეობებსა თუ მერიაში, დასაქმებულთა უმრავლესობა ქალები არიან.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე



ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში

ქალები კვლავ განიცდიან უთანასწორო მოპყრობასა და დისკრიმინაციას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი ჩართულობის შეფასებისას. ერთი მხრივ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული მიდგომები და მცდარი წარმოდგენები, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალური ღონისძიებების სიმცირე, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისთვის ბარიერებს ქმნიან.

საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის სფეროში ერთ–ერთ მთავარ გამოწვევად პოლიტიკაში ქალთა თანაბარი მონაწილეობის საკითხი რჩება. 2015 წლის გენდერული

უთანასწორობის გლობალური ინდექსის[1] მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით 145 ქვეყანას შორის 114-ე ადგილზეა, ხოლო პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით 117-ე ადგილს იკავებს. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[2] მიხედვით, საქართველო 2015 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, 150 ქვეყანას შორის 111-ე ადგილზეა.

მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე მონაწილეობის მაჩვენებლით საქართველო 145 ქვეყანას შორის 49–ე ადგილზეა.[3] აღნიშნულს ცხადყოფს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგები, რომლის თანახმად, ქალები აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა უმეტეს ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა ხელმძღვანელ პოზიციებზე მათი წარმომადგენლობა შესამჩნევად დაბალია.

აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულთა რაოდენობა ხელმძღვანელ პოზიციაზე



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული საინფორმაციო შეხვედრებისას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სოფლის განვითარების პროგრამებში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინების და ზოგადად, ქალთა მონაწილეობის საკითხმა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ქალები, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით სასურველი პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების არცერთ ეტაპზე არ მონაწილეობენ. ამის მიზეზია ის, რომ ერთი მხრივ, ქალთა ჩართულობა ამ პროცესებში საზოგადოების მხრიდან უარყოფითად აღიქმება, ხოლო მეორე მხრივ, თავად გამგებლის წარმომადგენლები არ იწვევენ ქალებს სოფლის კრებებზე.

1 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

2 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

3 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

აღნიშნულს ადასტურებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში (სათემო კრებები და სხვა) მონაწილე პირთა სქესის ნიშნით დიფერენცირებული რაოდენობის შესახებ; სამწუხაროდ, სამინისტროს[4] აღნიშნული ინფორმაცია არ გააჩნია და მხოლოდ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი მოგვაწოდეს.

მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი კი ნათლად აჩვენებს, რომ პრი-ორიტეტულია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები: სა-ტრანსპორტო საშუალებების შესყიდვა, სარიტუალო სახლების მოწყობა, თავშეყრის ადგილების მოწესრიგება და სარწყავი სისტემების გამართვა. აღნიშნული საკითხების პრიორიტეტულობას კი ძირითადად კაცები განსაზ-ღვრავენ, რადგან სწორედ ისინი არიან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებ-ზე. ნაკლებად არის გათვალისწინებული ის საკითხები, რომლებიც შესაძლოა ქალებისთვის იყოს საჭირო. მაგალითისთვის, არაერთი სოფლისთვის კვლავ პრობლემად რჩება საბავშვო ბაღების არარსებობა, ასევე წყალმომარაგების საკითხი, რომელიც მხოლოდ სარწყავი სისტემებით არ შემოიფარგლება და საცხოვრებელი სახლების წყლით მომარაგებასაც გულისხმობს და ძალიან მძიმე ტვირთად აწევს სოფლად მცხოვრებ ქალებს.

2015 წელი მნიშვნელოვანი იყო კვოტირების მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებით წამოწყებული საპარლამენტო განხილვების თვალსაზრის-ითაც. საქართველოს პარლამენტს ამ საკითხთან დაკავშირებით წარედ-გინა პარლამენტის წევრის, ნანა ყეინიშვილის და ქალთა მოძრაობის ინი-ციატივები. საქართველოს სახალხო დამცველმა მხარი დაუჭირა ქალთა მოძრაობის ინიციატივას 50/50, რომელიც გულისხმობს კანდიდატთა სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარმომადგენელს. სამწუხაროდ, საქა-რთველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, საკომიტეტო განხილვისას მხარი არ დაუჭირა კვოტირებასთან დაკავშირებულ არცერთ ინიციატივას. ამასთან, საკმაოდ მაღალია პარლამენტის წევრთა რიცხვი, რომლებიც არ იზიარებენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ, საქართველოს მე–4 და მე–5 პერიოდული ან-გარიშების განხილვის შემდეგ მიღებულ რეკომენდაციას,[5] რომლის მიხედვი-თაც კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის რეგლამენტირებული კვოტები, კონვენციის მე–4 მუხლის (1 პარაგრაფის) მე–7 მუხლის და კომიტეტის 23–ე და 25-ე ზოგადი რეკომენ-დაციის შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა მოსაზრებაში, რომელიც წარუდგინა საქართველოს პარლამენტს, აღნიშნა, რომ კვოტირების სისტემა არის არსებული უთანასწორო მდგომარეობიდან თავის დაღწევის რეალური გამოსავალი და შანსი, ორივე სქესს თანაბრად მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4 საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი #01/181, 25/01/2016.

5 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treaty-bodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en > [ბო-ლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

მსოფლიო პრაქტიკა ომისა და მშვიდობის ახალ მოდელში აერთიანებს ქალების ჩართულობას სამი მიმართულებით: ქალების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ქალების მონაწილეობა საომარი მოქმედებების პრევენციასა და თავიდან არიდებაში და ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2000 წლის 31 ოქტომბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1325 – „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, რომელიც თანმდევ რეზოლუციებთან ერთად აღიარებს გოგონებისა და ქალების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და საჭიროებებს კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებაში. აღნიშნული რეზოლუციის მიღების მიუხედავად, 1992 წლიდან 2011 წლამდე სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღო ქალთა მხოლოდ 9%-მა,[6] რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია და მიუთითებს ქალთა როლის უგულებელყოფაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების აღნიშვნა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით. 2011 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა ეროვნული სამოქმედო გეგმა და შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად მუშაობდა თავდაპირველად, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, ხოლო შემდგომ, საქართველოს პრემიერ–მინისტრის სამდივნოს ხელმძღვანელობით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იყო ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით. ამასთან, 2015 წელს, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგიც განახორციელა, რომლის ძირითადი მიზანი ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების გადახედვა იყო.

მონიტორინგის პირველი ეტაპი სამოქმედო გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი უწყებებისგან შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებას მოიცავდა, მეორე ეტაპზე დაიგეგმა ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, ხოლო მესამე ეტაპზე მოეწყო შეხვედრები დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებსა და საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში - პერევი, ტირძნისი, ურულუ და ოქტომბერი, მცხოვრებ პირებთან.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ სამოქმედო გეგმა ფაქტობრივად არ ასახულა იმ მოსახლეობაზე, რომელსაც ამ მიმართულებით განსაკუთრებული საჭიროებები გააჩნია. ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრები ქალები ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დგანან, თუმცა მათზე მიმართული დამცავი თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნაკლებობა თვალსაჩინოა.

6 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.unwomen.org/en/what-we-do/peace-and-security/facts-and-figures > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების უმრავლესობა მხოლოდ ფორმალურ ნაწილში ფარავდა ნაკისრ ვალდებულებებს. მათ არ დაუგეგმავთ და განუხორციელებიათ არცერთი სპეციალური ღონისძიება, რომელიც 1325 რეზოლუციის მოთხოვნების შესრულებას დაისახავდა მიზნად.

ერთადერთი სტრუქტურა, რომლის საქმიანობაშიც პირდაპირ აისახა გეგმაში გაწერილი ამოცანები, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იყო. 2014 წელს სამინისტროს მიერ დამტკიცებული გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბდა გენდერული მრჩევლების ინსტიტუტი. ამასთან, შეიქმნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სახელმწიფო სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობაზეა პასუხისმგებელი. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა სამშვიდობო მისიებში ქალთა ჩართულობაც, ერაყსა და ავღანეთში 219–მა ქალმა მიიღო მონაწილეობა, შეიარაღებულ ძალებში კი 7% ქალია[7].

როგორც ირკვევა, ხშირ შემთხვევაში, ქალებს არ აქვთ სამხედრო განათლება, რაც აფერხებს ხელმძღვანელ პოზიციაზე მათ დანიშვნას. სამინისტროს მიერ გენდერული თანასწორობის კუთხით გაწეული სამუშაოს მიუხედავად, არსებობს ვარაუდი, რომ ბევრი კაცი ჯერ კიდევ არ ისურვებს მმართველ პოზიციაზე ქალის ყოფნას და ესეც, გარკვეულწილად აფერხებს ქალთა ჩართულობას. შესაბამისად, აუცილებელია ცნობიერების ამაღლებასა და სამოქალაქო განათლებაზე მეტი აქცენტის გაკეთება.

რეგიონებში[8] ჩატარებული შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა წინაშეც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები და დევნილი ქალები დგანან. იმ თემებში, სადაც თვითდახმარების ცენტრებია[9] ჩამოყალიბებული, ქალთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შესამჩნევად მაღალია. ტირძნისსა და პერევში არსებული თვითდახმარების ჯგუფების წევრები აქტიურად მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვაში, ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას ჩართულობის თვალსაზრისით და წინ სწევენ საკუთარ საჭიროებებს. ქალები ლობირებენ ბავშვთა სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხებსაც და ამ კუთხით კაცებზე მეტად აქტიურობენ. თუმცა, როგორც გამოიკვეთა, სხვა, მოსაზღვრე სოფლები პროცესებში არ მონაწილეობენ.

აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებული გამოწვევები. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ განსაკუთრებული სიმწვავით დგას მათთვის ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამების აუცილებლობა. ეროვნული სამოქმედო გეგმა აღნიშნულ აქტივობას ითვალისწინებდა, თუმცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

7 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი #MOD 0 15 00874317; 22/10/2015.

8 სოფლები: პერევი, ტირძნისი, ურულუ, ოქტომბერი.

9 „ფონდი ტასოს“ მხარდაჭერით შექმნილი თვითდახმარების ჯგუფები.

მოსახლეობასთან შეხვედრებმა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობის მიმართულებით ასევე გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აფერხებს პროგრამებით სარგებლობას. აღინიშნა სოფლებში სტომატოლოგის არარსებობის საკითხი, განსაკუთრებით ასეთი საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. ზოგიერთ სოფელს არ ჰყავს ოჯახის ექიმი და ის დაახლოებით 5-6 კილომეტრის დაშორებით, სხვა დასახლებაში იმყოფება. ასევე პრობლემატურია სასწრაფო დახმარების მომსახურება, რადგან ცენტრიდან სოფლებამდე დიდი მანძილი გამო ის ძალიან დიდ დროს ანდომებს გამოძახებებზე მისვლას. მოსახლეობის თქმით, ქალთა სკრინინგები, რომლებიც სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში ტარდება, ფორმალურ ხასიათს ატარებს - იმდენად მოკლე დროით ხდება მომსახურების გაწევა, რომ მსურველთა ნახევარი ვერ ასწრებს გამოკვლევებში მონაწილეობის მიღებას.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამები. შესაბამისად, ნათელია, რომ თავს იჩენს ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში გადანაწილებული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების კომპეტენციისა და შესაბამისობის საკითხი.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, განსაკუთრებით კი დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის მიუხედავად, კვლავ დაბალია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირების დონე ქვეყანაში არსებულ სერვისებსა და საკუთარ უფლებებთან დაკავშირებით. ქალებს არ აქვთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ მექანიზმებზე, ასევე, არ იციან რა ტიპის მომსახურების მიღება შეუძლიათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სისტემის იმგვარად ორგანიზება, რომ ქალებისათვის დაცვის ღონისძიებები და მართლმსაჯულება ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს, ხოლო ამისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათ წინაშე მდგარი პრობლემების, ხელის შემშლელი ფაქტორებისა და გამოწვევების დეტალური შესწავლა.

ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე[10] მცხოვრები პირების განსაკუთრებული უკმაყოფილების საგანს წარმოადგენს სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილების ფორმალური ხასიათი, რომელიც მე-6 კლასიდან მე–12 კლასის ჩათვლით, ერთი სემესტრის განმავლობაში[11] ისწავლება. შეხვედრებისას აღინიშნა, რომ კურსი ძალიან მწირ, ფორმალურ ინფორმაციას მოიცავს.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, უწყებებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ დაგეგმილი აქტივობები მათ მანდატს არ შეესაბამებოდა, არ მოახდინეს ვალდებულებების დელეგირება და ასეთი აქტივობები განუხორციელებელი დარჩა. აღსანიშ-

10 საინფორმაციო შეხვედრა ტირძნისსა და ოქტომბერში.

11 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი # 2 15 00821510; 27/08/2015.

ნავია, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა შესაბამისი უწყება და პირველი კითხვა სწორედ მის დამტკიცებამდე შესაბამისობის გადახედვის საკითხს უკავშირდება, ხოლო შემდგომ დელეგირების, რადგან ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში შესაძლებელი იყო ამგვარი საკითხების განხილვა. პროცესში ჩართულობისა და უფლებამოსილებების დელეგირების პროცესებში მონაწილეობის მიუხედავად წარმოქმნილი პრობლემა, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ პასუხისმგებელმა უწყებებმა სათანადოდ არ შეაფასეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების მნიშვნელობა.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა სპეციფიური აქტივობების სიმწირეც. რიგმა უწყებებმა ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ასახეს და აქცენტის, „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“, პრინციპი დაიკარგა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სამომავლოდ შემუშავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს პირდაპირ გაითვალისწინებს. ამასთან, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შესრულების ხარვეზების შესწავლის შედეგად დაიგეგმოს ახალი მიმართულებები.

ქალთა ეკონომიკური აქტივობა და შრომითი უფლებები

გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქალთა ეკონომიკური აქტივობის ზრდა და შრომითი უფლებების დაცვის ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობა და სიძლიერე პირდაპირ კავშირშია ქალთა გაძლიერებისა და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობასთან, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის შემთხვევაში.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში, მაღალია მათი შრომის წილი დასაქმების ბაზარზე, თუმცა კვლავ პრობლემას წარმოადგენს თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანამდებობრივი დაწინაურებისას არსებული გამოწვევები.

2015 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის“[12] მიხედვით, ქვეყნების კლასიფიკაციაში საქართველო ქვედა-საშუალო შემოსავლების ჯგუფს მიეკუთვნება. წყაროს მიხედვით[1], საქართველო 145 ქვეყანას შორის მე–60 ადგილზეა ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მხრივ, ხოლო სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებლის მიხედვით 83-ე ადგილს იკავებს, სადაც კაცები (79) სჭარბობენ ქალებს (61).

ამავე მონაცემების მიხედვით, თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების მაჩვენებლით საქართველო 25–ე ადგილს იკავებს. განსხვა-

12 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf> [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ვდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის თანაფარდობა და ამ მხრივ 145 ქვეყანას შორის საქართველო 110-ე ადგილზეა. კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი ორჯერ აღემატება ქალისას და შეადგენს 10,272 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალები საშუალოდ 5,183 აშშ დოლარს გამოიმუშავებენ.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საგანი არაერთხელ გამხდარა ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების საკითხი. აღნიშნულის მიუხედავად, ჯერაც არ განახლებულა ქალთა შრომითი უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული საკანონმდებლო რეფორმის მე–2 ტალღა. ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციის და საკანონმდებლო მოწესრიგებისათვის. არ დაწყებულა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183–ე დედობის დაცვის შესახებ კონვენციის რატიფიცირების პროცესი.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27–ე მუხლით გარანტირებული უფლება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის წესთან დაკავშირებით, ერთი შეხედვით, თანაბრად ვრცელდება მშობლებზე, თუმცა პრაქტიკაში განსხვავებულ სიტუაციას ვაწყდებით. ერთი მხრივ პრობლემას წარმოადგენს დამსაქმებელთა დამოკიდებულება კაცის მიერ ბავშვის მოვლის შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, რომ ბავშვის მოვლა „ქალის საქმეა“ და ხშირ შემთხვევაში კაცი დაცინვის ობიექტიც შეიძლება გახდეს, გავლენას ახდენს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებით სარგებლობაზე.

ამასთან, კვლავ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვითაც ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისას სახელმწიფო კომპენსაცია მხოლოდ ქალზე გაიცემა. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის 27-ე მუხლით დასაქმებულთათვის გარანტირებულ უფლებას და გენდერული თანასწორობის უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც გულისხმობს შვილების აღზრდასა და განვითარებაში მოვალეობების და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას. ამასთან, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ წესს, რომლის მონაწილე მხარესაც საქართველო წარმოადგენს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად დაწყებულია მუშაობა აღნიშნულ

ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებისათვის, თუმცა საკითხი ამ დრომდე გადაუჭრელია.

სექსუალური შევიწროება დასაქმების ადგილზე

დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება წარმოადგენს უფლებადარღვევის ყველაზე გავრცელებულ და ამავდროულად დაფარულ პრობლემას, რომელიც ამცირებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს, საფრთხეს უქმნის ქალთა და მამაკაცთა კეთილდღეობას და აკნინებს გენდერული თანასწორობის ხარისხს. კვლევები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ქალების 40-50% სამუშაო ადგილებზე არასასურველ სექსუალურ მოპყრობას, ფიზიკურ კონტაქტს ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს განიცდის.[13]

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე–6 მუხლში მოცემულია შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის საკითხი, რომელიც შევიწროების ზოგად დეფინიციას განსაზღვრავს, თუმცა აღნიშნული კანონი დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების ფაქტზე სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას არ იძლევა. ევროსაბჭოს მიერ 2011 წლის 12 აპრილს მიღებული „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბოლის) კონვენციის მე-40 მუხლი სახელმწიფოებს უწესებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა ზომა, რათა სექსუალური შევიწროების გამოვლენის ყველა ფორმა დასჯადი იყოს ქვეყნის კანონმდებლობით. სამწუხაროდ, აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი სექსუალური შევიწროების დეფინიციის განსაზღვრას არ ითვალისწინებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების პროცესში, საკანონმდებლო რეგულირებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამსაქმებელთა მიერ შიდა ინსტიტუციური რეაგირების მექანიზმების დანერგვას. წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ დამსაქმებელთა მიერ სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების დანერგვა გაცილებით ეფექტიანი და ნაკლები დანახარჯების მომტანია დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს აპარატში დასაქმებულებისათვის სექსუალური შევიწროებისაგან თავისუფალი გარემოს შექმნას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონმდებლობის დონეზე განისაზღვროს სექსუალური შევიწროების დეფინიცია შესაბამისი სანქცირების სისტემით. ამასთან, საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მიერ დაინერგოს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მომხდარ ფაქტებზე რეაგირების შიდა ინსტიტუციური მექანიზმები.

13 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://endviolence.un.org/pdf/pressmaterials/unite_the_situation_en.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობა

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში არსებული გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით მძიმეა მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრის მიუხედავად, კვლავ არ ხორციელდება დაცვისა და დახმარების სპეციალური ღონისძიებები, ხოლო მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი ამ დრომდე არ განსაზღვრულა.

ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე–5 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ საოჯახო აღზრდა გულისხმობდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და ბავშვის აღზრდისა და განვითარების საქმეში მამაკაცისა და ქალის საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით. ამავე კონვენციის თანახმად, ბავშვის აღზრდა მოითხოვს მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოებას შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში მარტოხელა დედობა უკავშირდება არა მხოლოდ მამის მხრიდან ბავშვის არსებობის უგულებელყოფას და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდებას, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობას. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება და მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისაკენ მიმართული პროგრამების არარსებობა მარტოხელა დედების უკიდურესად მძიმე უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობას განაპირობებს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით (#79/#01-186) 2015 წლის 16 ივნისს დამტკიცდა „მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენისა და შესაბამის პირთა შესახებ მონაცემთა წარმოების წესი“. თუმცა მონაცემების წარმოებასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია დახმარების შესაბამისი პროგრამების ამოქმედება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში 2015 წელს დაბადებული 1393 პირის სააქტო ჩანაწერში, მშობლის გრაფაში მითითებულია მხოლოდ დედის მონაცემი. მიუხედავად მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრისა, არ არსებობს სპეციალური პროგრამები, რომელიც მარტოხელა მშობელს ბავშვის მარტო აღზრდის ტვირთს შეუმსუბუქებდა. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარტოხელა მშობლები ყველა სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეები არიან და ქვეპროგრამების ნაწილში სარგებლობენ პრიორიტეტით, თუმცა აღნიშნული პროგრამები არასაკმარისია მარტოხელა მშობლის სოციალური უზრუნველყოფისთვის.

ასევე უნდა აღინიშნოს მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძვლებში არსებული ხარვეზიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამჟამინ-

დელი რედაქციით, მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების ერთ–ერთი საფუძველია პირის ქორწინებაში შესვლა, რაც ავტომატურად არ გულისხმობს ბავშვის მიმართ მამინაცვლის ან დედინაცვლის მოვალეობების წარმოშობას.

2015 წლის 25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა. წინადადება მარტოხელა მშობლის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლების შესწორებას ისახავს მიზნად. წინადადების მიხედვით, აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი საჭიროა მოდიფიცირდეს იმგვარად, რომ სტატუსის გაუქმების საფუძველი არა მშობლის ქორწინება, არამედ ბავშვის სააქტო ჩანაწერში მეორე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წარმოშობის შემთხვევა იყოს.

არანაკლები პრობლემების წინაშე დგანან მრავალშვილიანი მშობლები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2015 წელს 11787 ქალი გახდა მე-3 ან მეტი შვილის დედა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოში მრავალშვილიანი მშობლის რაოდენობის შესახებ არ იწარმოება, რადგან კანონმდებლობით მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი არ არის განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი, ასევე შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, სოციალური შეღავათები, რომლებიც მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს.

მედიასაშუალებების როლი გენდერული თანასწორობის დამკვიდრების საკითხებში

გენდერული უთანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. საზოგადოებაში მყარადაა ფესვგადგმული სტერეოტიპული განწყობები და დისკრიმინაციული პრაქტიკები, რაც ხშირად ქალთა ფუნდამენტური უფლებების დარღვევით სრულდება. განსაკუთრებით საშიშია ტრადიციასა და კულტურულ ადათებს ამოფარებული წესები, რომლებიც ორმაგ მორალურ სტანდარტს ეფუძნება (რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს) და არღვევს ქალის უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნულ დისკრიმინაციულ პრაქტიკებს, საზოგადოება არათუ ებრძვის, ხშირ შემთხვევაში თანაგრძნობას გამოხატავს მოძალადეების მიმართ.

საზოგადოების ცნობიერების შეცვლისა და სწორი მიდგომების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი წამყვანი როლი მედიასაშუალებებს და მათ სარედაქციო პოლიტიკას უკავიათ. სწორედ მათ შეუძლიათ ხმა მიაწვდინონ თითოეულ ოჯახს და დაანახონ რეალური პრობლემები, მათი სიმძიმე და შედეგები, დადებითი წვლილი შეიტანონ ისეთი ფასეუ-

ლობების დამკვიდრებაში, რომლებიც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას განაპირობებს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების გაშუქება განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, რათა არსებული დისკრიმინაციული სტერეოტიპები და პრაქტიკა კიდევ უფრო არ გამყარდეს. „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას იმ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან მამაკაცის და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.[14]

ევროსაბჭო უკანასკნელი წლებია ამ საკითხითაა დაინტერესებული. ნეგატიური სტერეოტიპების დასამსხვრევად და გენდერული თანასწორობის გაზრდის მიზნით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2010 წლის 1751 რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს კანონმდებლობაში შეიტანონ დისპოზიციები, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე რეზოლუციის თანახმად, მედიაში გამოყენებული სექსისტური სტერეოტიპების გავლენა საზოგადოებრივ და განსაკუთრებით ახალგაზრდების აზრის ფორმირებაზე სავალალოა.

გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო სივრცის დახვეწის მიზნით, 2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს ტელემაუწყებლობაში დამკვიდრებული სექსისტური რეკლამების თაობაზე კანონმდებლობაში დეფინიციის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადებით მიმართა, რომელიც ითვალისწინებს რეკლამის შესახებ საქართველოს კანონში სექსისტური რეკლამის დეფინიციის განსაზღვრასა და მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში შესაბამისი სანქცირების სისტემის შემოღებას.

ამავდროულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტიურობას ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. როდესაც ვსაუბრობთ ქალთა მონაწილეობის გაზრდაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, არ უნდა დაგვავიწყდეს აქტიური, წარმატებული, ლიდერი ქალების წარმოჩენის აუცილებლობა. ამასთან, არსებული პრობლემების სწორი აქცენტირება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას თანასწორობის იდეის და სულისკვეთების დამკვიდრება. საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას.

14 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/cedaw.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

უფლებადამცველი ქალების უფლებრივი მდგომარეობა

მსოფლიოს მასშტაბით უამრავი უფლებადამცველი ქალი განიცდის შევიწროებასა და ძალადობას თავისი საქმიანობის გამო, რადგან ის თითქმის ყოველთვის უკავშირდება ტაბუდადებულ თემებზე საუბარს, დუმილის კულტურის დარღვევას და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების შეცვლაზე მიმართულ მუშაობას.

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს ორგანიზაციამ, „ქალთა ფონდი საქართველოში", დააარსა პრემია ქალი უფლებადამცველებისათვის და აღნიშნული ინიციატივით ეს დღე დაუკავშირდა მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ფემინისტის, აქტივისტისა და პუბლიცისტის, კატო მიქელაძის სახელს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 2013 წლის 4 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია[15] ქალი უფლებადამცველების დაცვის შესახებ. რეზოლუცია ხაზს უსვამს ქალი უფლებადამცველების მიმართ არსებულ საფრთხეებს და რისკებს. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ქალი უფლებადამცველები ხშირად არიან სექსუალური ძალადობის საშიშროების წინაშე, ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები, ხშირია სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მათი რეპუტაციის განზრახ შელახვის ფაქტები.

რეზოლუცია ასევე აღწერს ქალი უფლებადამცველების მიმართ შესაძლო ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ისეთ გავრცელებულ მეთოდებს, როგორიცაა: საინფორმაციო–ტექნოლოგიური ძალადობა და შეურაცხყოფა, ონლაინ–შევიწროება და კიბერ–გადაკიდება (უკანონო ადევნება, თვალთვალი), კონფიდენციალობის დარღვევა, ელექტრონული ფოსტის, მობილურისა თუ სხვა ელექტრონული ხელსაწყოების ანგარიშების არამართლზომიერი გამოყენება, რაც მიზნად ისახავს ქალი უფლებადამცველების დისკრედიტაციას.

რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა აღმოიფხვრას ქალი უფლებადამცველების მიმართ არსებული ძალადობა, შეურაცხყოფა, მუქარა და შევიწროება. ამისთვის რეზოლუცია სახელმწიფოებს სთავაზობს გადაიხედოს შიდა სამართლის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების საკითხი, თუ რამდენად აძლევს აღნიშნული რეგულაციები ქალ უფლებადამცველებს სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი საქართველოში აქტუალობით არ ხასიათდება, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა რიგი შემთხვევების შესახებ. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის სახელდება, რათა თავიდან ავიცილოთ არსებული ფაქტების დაფარვა თუ სხვა ტიპის შემთხვევებში აღრევის შემთხვევები.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა რამდენიმე შემთხვევა შეისწავლა, სადაც ქალი

15 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/C.3/68/L.64 > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

უფლებადამცველების მიმართ მათი საქმიანობის გამო მუქარის ფაქტები გამოვლინდა. შესწავლილ საქმეებში, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს უჭირთ ქალ უფლებადამცველებზე განხორციელებული მუქარის ფაქტების და რისკების სწორად შეფასება.

შემთხვევა #1: ა.ა.–ს საქმე

ვებგვერდზე www.youtube.com ქალი უფლებადამცველის, ა.ა.-ს მისამართით მუქარის შემცველი ვიდეოფაილი აიტვირთა. ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა და შეურაცხმყოფელი განცხადებები მიმართული იყო ა.ა.–ს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემაზე გაკეთებული განცხადებების გამო. მუქარის ადრესატი საფრთხეს გრძნობდა, რადგან მას ხშირად უწევდა ტაბუდადებულ საკითხებზე და დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკებზე საუბარი და საჯარო გამოსვლები.

ამ საქმის შესახებ მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს. მიღებული პასუხის თანახმად, შეისწავლეს აღნიშნული საქმე, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა, რადგან არ იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა ავტორის გამოსავლენად.

შემთხვევა #2: ფ.ბ.-ს საქმე

ფ.ბ.-ს, მისი შვილის და ასევე, ორგანიზაციის მისამართით ხორციელდებოდა ჯანმრთელობის დაზიანებისა და საკუთრების განადგურებისკენ მიმართული მუქარა. განმცხადებლის ინფორმაციით, მუქარის მიზეზი მის მიერ რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის, ასევე ქალთა უფლებების დაცვა და ლგბტ საკითხებზე მუშაობა იყო.

ამ საქმის შესახებ მივმართეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ ერთ წელზე მეტია მიმდინარეობს საქმის გამოძიება და კონკრეტული შედეგი ამ დრომდე არ დამდგარა.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ქალი უფლებადამცველების მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტებს არ აღიქვამენ სერიოზულ საფრთხედ, თუმცა საქართველოში არსებული შეხედულებების გამო შესაძლებელია ითქვას, რომ საფრთხე ხშირად რეალურია და ზემოაღნიშნულ შემთხვევებში განმცხადებლებს ჰქონდათ საფრთხის რეალური განცდა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის განხორციელებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და ეროვნული კანონმდებლობის, ასევე შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების საკითხის გადახედვა და დახვეწა.

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა და უფლებები

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შემადგენელი ნაწილია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის (ICPD, 1994) პროგრამის სამოქმედო გეგმის მიხედვით,[16] რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებები დაფუძნებულია ინდივიდებისა და წყვილების უფლებაზე დისკრიმინაციის, იძულებისა და ძალადობის გარეშე გადაწყვიტონ როდის ან რა პერიოდულობით იყოლიონ ბავშვი და ჰქონდეთ საჭირო ინფორმაცია ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას. პროგრამის მიხედვით[17], სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამედიცინო სამსახურების მაღალი ხელმისაწვდომობა, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, რაც გულისხმობს ოჯახის დაგეგმვას და სქესობრივ ჯანმრთელობას, მომსახურების მაღალ ხარისხსა და არჩევანის თავისუფლებას.

მნიშვნელოვანია, რომ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) კავშირს ხედავს დისკრიმინაციასა და ქალის რეპროდუქციულ უნარს შორის და მიუთითებს არჩევანის თავისუფლებაზე შობადობის რაოდენობისა და პერიოდულობის მიმართულებებით. კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით[18], მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ ქალისათვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, მათ შორის ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

რეპროდუქციული უფლებების განხორციელება დიდწილად დამოკიდებულია მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაზე. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, თუ რამდენად ფლობს სერვისის მიღების საჭიროების მქონე პირი შესაბამის ინფორმაციას და მიუწვდება თუ არა ხელი მასზე. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხები საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრები და რეგიონული ვიზიტები ცხადყოფს, რომ კვლავ დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონე და ინფორმირებულობა როგორც რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, ისე ქვეყანაში არსებულ სერვისებსა და პროგრამებზე.

ინფორმაციული ვაკუუმი და ცნობიერების დაბალი დონე მთელ რიგ პრობლემებს წარმოშობს და სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან რეპროდუქციული უფლებებით სარგებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გან-

16 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1მარტს].

17 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://en.calameo.com/read/004110021f6f489646537 >[ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

18 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ვითარებაზე. სხვადასხვა სერვისებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის განსაკუთრებული საჭიროება წარმოჩინდა ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში, რადგან სხვა პრობლემებთან ერთად მათი ინფორმირების დაბალ ხარისხს ენობრივი ბარიერების არსებობა განაპირობებს. ამასთან, ძალიან მცირეა ფორმალური განათლების პროგრამებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ახალგაზრდებთან ორგანიზებული შეხვედრებისას ნათლად გამოჩნდა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია კონტრაცეპციასა და აბორტის ხელმისაწვდომობაზე, არსებულ რეგულაციებზე, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო განათლების პროგრამაში აღნიშნული საკითხების ინტეგრირება, რაც ასევე გარკვეულ გავლენას იქონიებდა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ადრეული დედობის პრევენციაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრდასრულთა განათლება და ინფორმირება, რაშიც სახელმწიფოსთან ერთად დიდი როლი ეკისრება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა თუ მედიასაშუალებებს. საზოგადოებაში არსებული ტაბუ და არაჯანსაღი დამოკიდებულება განაპირობებს საკითხის სტიგმატიზაციას. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში არასწორი ინფორმაციის გამო მშობლები ეწინააღმდეგებიან მათი შვილებისთვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის, აივ ინფექცია/შიდსის და სხვა მსგავს თემებზე სემინარების ჩატარებას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მიერ დაინერგოს და განხორციელდეს საგანმანათლებლო ხასიათის შესაბამისი სწავლება/სემინარები, რადგან ამ ფუნქციას მშობელი ვერ ასრულებს შვილებთან არსებული გაუცხოებისა და ხშირ შემთხვევაში თავად საკითხის უცოდინრობის გამო.

ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული გამოწვევები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით[19], განვითარებად ქვეყნებში დაახლოებით 225 მილიონ ქალს სურს შეწყვიტოს ორსულობა, თუმცა მათ არ მიუწვდებათ ხელი კონტრაცეპციასა და ოჯახის დაგეგმვის სხვადასხვა მეთოდებზე. სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის დაბალი დონე კი პირდაპირ კავშირშია ორსულობის შეწყვეტასა და მასთან დაკავშირებულ რისკებთან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქალებს მიეწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია და ჩაუტარდეთ კონსულტაციები კონტრაცეპციის მოხმარებასა და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ.

19 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs351/en/> [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

საქართველოში კონტრაცეპციის მოხმარება წინა წლებთან შედარებით გახშირდა, თუმცა ბევრი ქალი კვლავ არ მიმართავს მას და იყენებს ოჯახის დაგეგმვის ნაკლებად შედეგიან მეთოდებს, რაც დაუგეგმავ ორსულობას იწვევს და ქალისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. აბორტის შემდეგ პერიოდში ძალიან ცოტა ქალი იღებს კონსულტაციას და შესაბამის სერვისს. განსაკუთრებით არათანაბარია სერვისებზე ხელმისაწვდომობა სოფლად მცხოვრებ, განათლებისა და ინფორმაციის ნაკლებობის მქონე ჯგუფებს შორის.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში კონტრაცეპციის გამოყენების მხრივ მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ მხოლოდ 53%-მდე, და აქედან ერთი მესამედი იყენებს ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც ძირითადად უშედეგოა და უმეტეს შემთხვევებში აბორტით მთავრდება.[20] ამას მოწმობს საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებიც, რომლის მიხედვით, ქვეყანაში ჰორმონალური კონტრაცეპციის გამოყენება მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რადგან 2014 წელს 2000 წელთან შედარებით ის თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.[21]

საქართველოში ბოლო წლებში მომრავლდა კონტრაცეპციასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიები, თუმცა საერთო სურათი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ კონტრაცეპციის მოხმარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას გასცემდეს კომპეტენტური და პროფესიონალი კადრი და ეს სერვისი მოსახელობას მხოლოდ საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არ მიეწოდებოდეს.

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა პრიორიტეტს წარმოადგენს მთელი მსოფლიოსთვის. რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი უმეტესად ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი გართულებები ხდება. შესაბამისი სერვისით სარგებლობას ხელს უშლის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სიღარიბე, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, კულტურული ფაქტორები და სხვა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2015 წელს, მსოფლიოში დაახლოებით 830 ქალი გარდაიცვალა ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებების გამო. აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევები განვითარებად ქვეყნებში 19-ჯერ მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში და მათი უმრავლესობის პრევენცია შესაძლებელი იყო რისკ-

20 ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობა საქართველოში, გაეროს მოსახლეობის ფონდი, ჯონ როსი, 2012წ.

21 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/health/Qali%20da%20kaci_2015.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ის დროული გამოვლენისა და შესაბამისი ჩარევის პირობებში.[22]

დედათა ჯანმრთელობა პირდაპირ კავშირშია ახალშობილთა ჯანმრთელობასთან და პირიქით. ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზანს 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის 2/3-ით შემცირება წარმოადგენს. ბავშვთა სიკვდილიანობის უმეტესობა დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებში ხდება, რაც გამოწვეულია ინფექციური დაავადებებით, არასაკმარისი კვებითა და გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული პრობლემებით.[23]

ამასთან, 5 წლამდე მიუღწეველ ბავშვთა სიკვდილიანობა განვითარებად ქვეყნებში 8-ჯერ მაღალია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დედათა სიკვდილიანობის მსოფლიო მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, თუმცა 1990-2015 წლებში ეს მაჩვენებელი 43%-ით შემცირდა.[24]

გაეროს დედათა სიკვდილიანობის შეფასების სააგენტოთაშორისი ჯგუფის მონაცემებით, საქართველო მოიაზრება ე.წ. B ჯგუფის ქვეყნებს შორის; წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც არ აქვს დედათა სიკვდილიანობის შემთხვევების აღრიცხვის სრულყოფილი სისტემა.[25] შესაბამისად, ამ მხრივ არსებული გამოწვევების გადასაჭრელად და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განსავითარებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშში ვკითხულობთ[26], რომ კვლავ პრობლემას წარმოადგენს დედათა სიკვდილიანობის აღრიცხვა. უნდა აღინიშნოს, რომ დედათა სიკვდილიანობასთან დაკავშირებული კვლევები ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების დახმარებით, რაც მიანიშნებს სახელმწიფოს მოუმზადებლობაზე, დროულად და ეფექტიანად ებრძოლოს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს ქვეყანაში. ამასთან, მნიშნელოვანია შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპები და პროტოკოლები დაინერგოს ადგილობრივ პრაქტიკაში, რათა ხელი შეეწყოს მომსახურე პერსონალის გადამზადებას და შესაბამისი ცოდნით აღჭურვას.

22 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs348/en/ > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

23 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://apps.who.int/iris/bitstream/10665/200009/1/9789241565110_eng.pdf?ua=1 > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

24 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://apps.who.int/iris/bitstream/10665/200009/1/9789241565110_eng.pdf?ua=1 > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

25 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://ncdc.ge/Category/Article/2804 > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

26 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2013/01/jandacvis-sistemis-efekturobis-angarishi.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

აბორტები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 40-50 მილიონი აბორტი აღირიცხება. ეს მონაცემი კი დღეში დაახლოებით 125,000 აბორტს ნიშნავს.[27] აბორტის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება რთულია და მისი სიზუსტე დამოკიდებულია სერვისის მიწოდების ხარისხზე, ხოლო ხელოვნური აბორტების შემცირება ძირითადად კონტრაცეფციის გამოყენებასა და ცნობიერების დონეს უკავშირდება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული წინასწარი მონაცემების მიხედვით[28], 2015 წელს საქართველოში 29 551 აბორტი გაკეთდა, რაც წინა წლებთან შედარებით კლების დინამიკით ხასიათდება. მათი უმრავლესობა რეგიონების მიხედვით კვლავ თბილისში ფიქსირდება (11 018 აბორტი), რასაც მოჰყვება იმერეთი (4 128 აბორტი) და აჭარა (3 774 აბორტი). რაც შეეხება აბორტების რაოდენობას ასაკობრივ ჭრილში, ყველაზე მეტი აბორტი გაკეთდა 25-29-მდე ასაკის ქალებს შორის (8 465 აბორტი). აგრეთვე მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2015 წელს საქართველოში 15 წლამდე ასაკის გოგონებში აბორტის 10 შემთხვევა მოხდა. მათგან, 4 შემთხვევა ქვემო ქართლში, 2 - თბილისში, ხოლო დანარჩენი - კახეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს აბორტის ისეთი ფორმა, როგორიც გენდერული ნიშნით სქესის სელექციაა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგანგაშოა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც მშობლები უპირატესობას ვაჟს ანიჭებენ და ამის შედეგად ყოველწლიურად უფრო ნაკლები გოგონა იბადება, მატულობს სქესთა შორის დისბალანსი და იზრდება უთანასწორობის მაჩვენებელი. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ფესვები კულტურაში უნდა ვეძებოთ, სადაც ვაჟი მიიჩნევა ოჯახის გვარის გამგრძელებლად, ხოლო ქალს, როგორც ღირებულების არმქონეს, ამ კულტურაში - ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნულ პრაქტიკას, როდესაც ის სისტემურ ხასიათს ღებულობს, მოჰყვება გენდერული უთანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობის რისკის ზრდა, მოსახლეობის დისბალანსი და ადამიანის უფლებების დარღვევა.

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ორსულობის შეწყვეტის სამედიცინო ჩარევის სქესის შერჩევის მიზნით განხორციელებას. თუმცა, 2015 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მონაცემების მიხედვით,[29] საქართველო სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით დაბადებისას 145 ქვეყნიდან 138-ე ადგილზეა.

---

27 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://www.worldometers.info/abortions/> [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

28 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #06/382,26/01/2016.

29 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://www3.weforum.org/docs/GGGR2015/cover.pdf >[ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

2015 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდმა მსოფლიო ბანკის დახმარებით განახორციელა კვლევა, „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში“, რაც განპირობებული იყო აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში დაბადებისას სქესთა შორის შესაძლო დისბალანსთან დაკავშირებული მზარდი ტენდენციით. კვლევის მიხედვით, საქართველოში სელექციურ აბორტებს ძირთადად სამი მიზეზი განაპირობებს: საზოგადოებაში ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება, შობადობის კლება 90-იანი წლებიდან მოყოლებული და რეპროდუქციულ ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობა. კვლევის თანახმად, საქართველოში უკვე შეინიშნება დაბადებისას სქესთა შორის დისბალანსის კლების ტენდენცია, რაც ხელსაყრელი მომენტია საიმისოდ, რომ სახელმწიფომ გადახედოს იმ კულტურულ ნორმებსა და სტერეოტიპებს, რომლებიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის მიღწევას ქვეყანაში და ასუსტებს ქალის როლს საზოგადოებაში.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2011 წლის რეზოლუცია[30] პრენატალური სქესის სელექციის შესახებ სახელმწიფოებს და საერთაშორისო საგენტოებს მოუწოდებს ძალების მობილიზაციისკენ სქესის ნიშნით ბავშვთა შერჩევის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან, 2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიშის განხილვისას[31] დასკვნით რეკომენდაციებში შეშფოთება გამოთქვა სელექციური აბორტების მაღალ რიცხვთან დაკავშირებით და სახელმწიფოს არსებული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

ადრეულ ასაკში ქორწინება

საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია და შემთხვევების მართვა. სამწუხაროდ, გავრცელებულია როგორც ქორწინების იძულების, ასევე ნიშნობების პრაქტიკაც. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარატამენტის მიერ სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, პრობლემატურია ისიც, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება საზოგადოებისათვის მიღებულ პრაქტიკად ითვლება.

2015 წლის 16 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო კანონპროექტი, რომლის მომზადების საფუძველი საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება გახდა. ცვლილების მიხედვით, 17–დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგ-

30 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=13158&lang=en > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

31 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en>[ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება. ასევე, დაზუსტდა ქორწინების რეგისტრაციის პატივსადები გარემოება და დებულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით.

დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში ეთითება მიტოვების საფუძველი. აღნიშნულმა ცვლილებამ ადრეული ქორწინების მასშტაბების დანახვა ნაწილობრივ შესაძლებელი გახადა.

მნიშვნელოვანია, რომ 2015 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე. სამუშაო ჯგუფი პირის, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოს ფარგლებში იმუშავებს და მასში წარმოდგენილი არიან შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, გენდერის თემატური ჯგუფის წევრები (საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა მოაგროვა ის მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა უწყებების კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღირიცხება.

ცხრილი #1: ადრეულ ასაკში ქორწინების მონაცემები (2015 წელი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[32] 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინება დარეგისტრირდა, ხოლო 2014 წელს – 665. მოცემული მაჩვენებლებიდან, 95%-ის შემთხვევაში, არასრულწლოვანი გოგო იყო. ნათელია, რომ ადრეული ქორ-

32 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264; 23/09/2015; #01/14677; 25/01/2016.

წინების შემთხვევაში, ძირითადად, გოგონებზე ვსაუბრობთ, თუმცა, ბიჭების ნაადრევი ქორწინების ფაქტებიც ხდება. თითქმის სამჯერ მეტია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები,[33] რომლებიც ბავშვის რეგისტრაციის მომენტში არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობას შეეხება. 2014-2015 წლის მონაცემები თითქმის იდენტურია; თუმცა, ყველა დანარჩენ მონაცემებს, რომელიც ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით არსებობს, საგრძნობლად აღემატება.

ცხრილი #2: ბავშვის დაბადების მომენტისთვის არასრულწლოვანი მშობელი



აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მიზნით, არასრულწლოვანი პირები ხშირად თავს ანებებენ განათლების მიღებას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია საბაზო საფეხურის დასრულებამდე სკოლის მიტოვების ფაქტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[34], 2015 წელს, ოჯახის შექმნის მიზეზით, სწავლა 13–დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა, ხოლო 168 შემთხვევაში, სწავლას თავი 18 წელს მიღწეულმა პირმა დაანება.

ცხრილი #4: ადრეულ ასაკში ქორწინების მიზნით სკოლის მიტოვების მაჩვენებლები (2015 წელი)



33 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264; 23/09/2015; #01/14677; 25/01/2016.

34 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილები # MES 7 15 00971410; 25/09/2015. MES 8 16 00046633; 21/01/2016.

სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების დროს, სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინების გაკეთება.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში: რეფერირების პროცედურები) 2010 წლის 31 მაისის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მოვალეობები და ვალდებულებები, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევა წარმოიშობა. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით, რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული საკითხები თითქმის არ სრულდება.

შესწავლა ცხადყოფს, რომ პედაგოგების აზრით, რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება მათ კომპეტენციას სცდება და ისინი ვერ ჩაერევიან ე.წ. „ოჯახის საქმეში“, სკოლის გარეთ არსებულ საკითხებში. ასევე, ასეთი ჩარევის შემთხვევაში, არ აქვთ კონფიდენციალობის შენარჩუნების იმედი, რაც საბოლოოდ, მათ პასიურობას იწვევს. ასეთი მოქმედებებით უგულებელყოფილია რეფერირების მექანიზმი და პედაგოგები კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობენ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებზე რეაგირების რაოდენობრივი მაჩვენებლები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე რეაგირება საკმაოდ გაზრდილია, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს სსკ 140–ე მუხლით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 74%–ით არის გაზრდილი; 2014 წელს სსკ 140–ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 33 პირის მიმართ დაიწყო, ხოლო 2015 წელს – 129 პირის მიმართ[35].

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა სამართალდამცავი უწყებების მიერ სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩამდენის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების გვერდის ავლა. საქმეთა შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც 16 წელს მიუღწეველთან სრულწლოვანის სქესობრივი კავშირის დამყარების ფაქტზე დაწყებუ-

35 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილები #13/60324; 25/09/2015; #13/5363; 23/01/2016.

ლი გამოძიება შეწყდა უსაფუძვლოდ, ან გამოძიების პროცესი წარიმართა იმგვარად, რომ შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა.

სსკ 143–ე მუხლით ისჯება ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ შორის, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც შეიძლება იყოს ქორწინების მიზნით მოტაცება. აღსანიშნავია, რომ 82%-ით გაზრდილია სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირთა მიმართ დევნის მაჩვენებელიც, რომელიც 2014 წელს 11 იყო; ხოლო 2015 წელს 60–ს მიაღწია. ამ შემთხვევებიდან, 2015 წლის პირველ ნახევარში, დევნა სულ სამი პირის მიმართ დაიწყო და სამივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკვეთა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა ქორწინების მიზნით[36] მოხდა, ხოლო 2015 წლის მეორე 6 თვის მონაცემებით, სულ 57 შემთხვევა გამოვლინდა. თუმცა, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი არ გულისხმობს მხოლოდ არასრულწლოვნისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ვინაიდან, როგორც საქართველოს პროკურატურა გვატყობინებს[37], აღნიშნულის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

უნდა აღინიშნოს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევისას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არასათანადო რეაგირების პრობლემა. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის იძულებითი ქორწინება, სოციალური მომსახურების სააგენტოს უჭირს ადრეულ ასაკში ქორწინების, როგორც პრობლემის იდენტიფიცირება. ხშირ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ხაზგასმულია ქორწინების ნებაყოფლობითობა და არ ტარდება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. 2015 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ შესწავლილი საქმეების მთლიანი რაოდენობა 47 იყო, რაც ძალიან ცოტაა, მითუმეტეს, თუ სხვა უწყებების მიერ აღრიცხულ შემთხვევათა რიცხვს შევადარებთ.[38]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ რეგიონებში გამართული საინფორმაციო შეხვედრების[39] შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის, მისი გადაჭრის გზებისა და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დონე ძალიან დაბალია. ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაცია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. მათთვის უცნობია თუ როგორ უნდა მოიქცნენ ორსულობის შემთხვევაში, რისი უფლება აქვთ, როგორია აბორტზე ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალურობის საკითხი და სხვა.

შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ისევე, როგორც სკოლებს, უძნელდება კანონით გათვალისწინებული საქმია-

36 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/60324; 25/09/2015.

37 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/5363; 23/01/2016.

38 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები #04/71601, 22/09/2015; #04/3552; 18/01/16.

39 შეხვედრები გაიმართა სამცხე–ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში, ასევე აჭარის ა/რ მაღალმთიან სოფლებში. სულ ჩატარდა 30 შეხვედრა, 22 ქალაქსა და სოფელში, 750 პირის მონაწილეობით.

ნობის განხორციელება ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვინაიდან ენობრივი ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ასევე განაპირობებს სერვისების ნაკლებობას. შედეგად კი, ზარალდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებია.

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში

ძალიან მძიმეა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის ირგვლივ არსებული რეალობა, განსაკუთრებულ შეშფოთებას ქალთა მკვლელობების შემთხვევები იწვევს. პრობლემის მასშტაბებისა და სიმძაფრის გათვალისწინებით, უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რათა თითოეულმა მოქალაქემ თავი ძალადობისაგან დაცულად იგრძნოს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და ძალადობისგან დაცვის საკითხებში სოციალურ მუშაკთა ჩართვას, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია მიუთითებს სოციალური მუშაკების გაძლიერებისა და მათი მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, რადგან მათი რაოდენობრივი სიმცირისა და დატვირთვის პირობებში ახალი მიმართულებით ეფექტიანი მუშაობა რთული წარმოსადგენია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ამ თემის შესწავლამ ცხადყო, რომ გასულ წელთან შედარებით გაიზარდა ოჯახში ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიცირების მაჩვენებელი. რაც თავის მხრივ დადებითი ტენდენციაა, თუმცა ამავდროულად ზრდის განმეორებითი შემთხვევების და დამცავი ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით არსებულ საჭიროებებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის და პრევენციის მიმართულებით. განხორციელებული საინფორმაციო კამპანიები და რეაგირების მექანიზმების დახვეწა დადებითად აისახა შემთხვევათა იდენტიფიცირების მაჩვენებლებზე.

ასევე, მნიშვნელოვან პროცესს გაუკეთა ორგანიზება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა, როდესაც შექმნა თემატური ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ქალთა მოძრაობის წევრების მიერ მომზადებული სპეციალური მიმართვის საფუძველზე გაიმართა შესაბამისი უწყებების საპარლამენტო მოსმენები და შემუშავდა რეკომენდაციების პაკეტი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იყო სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეაგროვა და გააანალიზა 2015 წელს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე წარმოებული სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი #1: ოჯახში ძალადობის შემთხვევები (2014–2015)



აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სსიპ „112“–ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში შესაძლო ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებების რაოდენობა 15 910 შეადგენს, თუმცა, აღნიშნული მონაცემები მხოლოდ პირველად ინფორმაციას წარმოადგენს და საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, დეტალურად არ გაანალიზებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2015 წელს გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით გამოვლინდა 2726 ოჯახში ძალადობის ფაქტი, სადაც მონაწილეობდა 5106 პირი. მოძალადისა და მსხვერპლის შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად[40], მოძალადეთა 93% კაცია, ხოლო მსხვერპლთა 87% ქალი. ასევე, საინტერესოა და დადებით ტენდენციაზე მიგვანიშნებს ოჯახში კონფლიქტების მაჩვენებლების, რომლებიც არ კვალიფიცირდება ოჯახში ძალადობად, შემცირება გასულ წელთან შედარებით (იხ. ცხრილი #1). მსხვერპლთა ასაკობრივი გადანაწილების მიხედვით ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფს (56%) წარმოადგენენ 25-44 წლამდე ასაკის ქალები და 45 წელზე მეტი ასაკის კაცები (61%).

40 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #355030/ 12.02.2016.

ცხრილი #2: მსხვერპლთა ასაკობრივი გადანაწილება შემაკავებელი ორდერების მიხედვით



მსხვერპლთა ასაკობრივი გადანაწილების შესახებ მონაცემები იძლევა რისკ–კატეგორიების იდენტიფიცირების და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას. ამასთან, სავარაუდოა, რომ 24 წლამდე პირები ნაკლებად მიმართავენ შესაბამის სამსახურებს და მნიშვნელოვანია მუშაობის ამ მიმართულებითაც გაძლიერება. მონაცემთა ანალიზის მიხედვით, კვლავ პრობლემას წარმოადგენს რეგიონებში ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმართვიანობა. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლებია რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე–ჯავახეთისა და გურიის რეგიონებში.

ცხრილი #3: გამოცემული შემაკავებელი ორდერების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



რაც შეეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირებას, საქართველოს პროკურატურის ცნობით, 2015 წელს სსკ-11[1]-126[1] და სსკ 126[1]-ე მუხლებით დევნა 728 პირის მიმართ დაიწყო, დაზარალებულად კი 858 პირი იქნა ცნობილი. აღნიშნული მაჩვენებლებიც დადებით ტენდენციაზე მიგვანიშნებენ იმ თვალსაზრისით, რომ 2015 წელს შესაბამისმა სტრუქტურებმა უფრო მეტჯერ მიიჩნია ოჯახში ძალადობა სისხლის სამართლის საქმედ, რაც საბოლოოდ მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების თვალსაზრისით საგრძნობლად გააუმჯობესებს ვითარებას.

დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების ანდა ვალდებულებების შეუსრულებლობის მიმართულებით არსებული მონაცემებით, სსკ-ის 381[1]-მუხლით გამოძიება 36 საქმეზე დაიწყო, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელსაც ასკ-ის 175[2] მუხლი ითვალისწინებს – 271 შემთხვევაში დაფიქსირდა.[41] თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება დამცავი ღონისძიებების აღსრულების ეფექტიანი მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, რომ დაინერგოს მონიტორინგის მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს შესაბამის სტრუქტურებს მეთვალყურეობა გაუწიონ ოჯახებს, სადაც ძალადობის ფაქტი გამოვლინდა და ამასთან, შექმნის საინფორმაციო ბაზასაც, რომელიც სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწვდის პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზთან ერთად მნიშვნელოვანია ის სისტემური ხარვეზები, რაზეც მეტყველებს 2015 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი ოჯახში ძალადობის შემთხვევები.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოებს შორის პრობლემას წარმოადგენდა კოორდინაცია და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. საქმეთა შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, როგორც სამართალდამცავი უწყების, ისე სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასებისას. რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნული უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის სირთულეს წარმოადგენდა ჭეშმარიტების დადგენა.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შემაკავებელი ორდერის გამოწერის ნაცვლად რიგ შემთხვევებში გამოიყენეს გაფრთხილების მექანიზმი. ერთი მხრივ პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავთა მხრიდან კონკრეტული საქმის შეფასება განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუ ადგილი არ აქვს ფიზიკურ ძალადობას, მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის შემთხვევაში კი პოლიციის თანამშრომელს უჭირს მიიღოს შემაკავებელი ორდერის გამოწერის გადაწყვეტილება. ხოლო მეორე მხრივ, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები გაფრთხილების ოქმის შედგენის გამართლებისას მიუთითებენ თავად მსხვერპლის სურვილზე, გაფრთხილებულიყო მოძალადე და შემაკავებელი ორდერის გამოწერაზე უარს აცხადებდა.

აღნიშნული არგუმენტი არ შეიძლება მივიჩნიოთ გამართლებულად, რადგან მსხვერპლს არ უხსნიან შემაკავებელი ორდერის არსს და არ განუმარტავენ, რომ გაფრთხილების მექანიზმს არ აქვს თანმდევი სამართლებრივი შედეგი და ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას განმეორებითი ძალადობის შემთხვევაში. ამასთან, მსხვერპლის მდგომარეობიდან გამომდინარე, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელს განსაკუთრებული როლი ეკისრება დაეხმაროს მსხვერპლს საფრთხის გააზრებაში, რომ მან უარი არ თქვას იმ ღონისძიების გატარებაზე, რომელიც მის დაცვას ემსახურება.

41 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #646505, 15/03/2016.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ შესწავლილი საქმეებიდან, ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა რეაგირებისას გათვალისწინებული არ არის ოჯახში ძალადობის დამახასითებელი თავისებურება - სისტემატურობა და განგრძობითობა. მსხვერპლის სამართალდამცავ უწყებებში მიმართვების ისტორია ხშირად რამდენიმეწლიან პერიოდს მოიცავს, თუმცა მსხვერპლის თითოეული მიმართვა ცალკე აღებულ შემთხვევად არის განხილული. ცალკე აღებული შემთხვევის შესახებ მიმართვები, შესაძლოა ნაკლებ მნიშვნელოვნად გამოიყურებოდეს, თუმცა ერთიანობაში, წლების განმავლობაში განხორციელებული ძალადობა მსხვერპლს მშვიდად ცხოვრებაში უშლის ხელს და ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობამდე მიჰყავს.

ქალთა მკვლელობები (ფემიციდი)

საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით, 2015 წელს ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 26 სისხლის სამართალის საქმეზე დაიწყო. აქედან, 14 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი, ხოლო 12 შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის სხვა მოტივი გამოიკვეთა. ასევე, ოჯახის წევრის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების ორ შემთხვევას გარდაცვალება მოჰყვა. შესაბამისად, 2015 წელს ქალთა მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის 28 შემთხვევა გამოვლინდა[42].

ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეჯამებით გამოიკვეთა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან პირის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა პარტნიორულ ურთიერთობაზე. ქალთა მკვლელობისა თუ მკვლელობის მცდელობის 50% ჩადენილია ქმრის მიერ ან ცალმხრივი სიყვარულის გამო, 25% სხვა ოჯახის წევრის მიერ, 25% კი სხვა გარემოებაში, როგორიც არის ყაჩაღობა ან სამეზობლო კონფლიქტი.

ცხრილი #4: ქალთა მკვლელობების მონაცემები (2013–2015 წლები)



42 საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/11306, 24/02/2016.

ქალთა მკვლელობების შემთხვევების ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ასეთი ტიპის ანალიზზე დაყრდნობით უნდა დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები. დეტალური მონაცემების შეგროვებაში მიზანმიმართულად უნდა ჩაერთონ როგორც სამართალდამცავი ორგანოები, ასევე სასამართლო. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივით გაკეთებული ანალიზი.

საქართველოს სახალხო დამცველი უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, დუბრავკა სიმონოვიჩის 2015 წლის 23 ნოემბრის მოწოდებას, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფომ მიზანმიმართულად უნდა იმუშაოს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციაზე, შექმნან გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე ზედამხედველობის სისტემა, ყოველი წლის 25 ნოემბერს კი, წარმოადგინონ შემთხვევათა დეტალური ანალიზი.

ქალთა მკვლელობებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებს ქალთა თვითმკვლელობის ის შემთხვევები, რომელთა შესაძლო მიზეზიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სისტემატური ხასიათის ოჯახში ძალადობა გახდა. მაგალითისთვის, უკვე ორი წელია მიმდინარეობს გამოძიება ხ.ჯ.–ს თვითმკვლელობამდე შესაძლო მიყვანის ფაქტზე და ამ დრომდე უცნობია საქმის ირგვლივ არსებული გამოძიების მდგომარეობა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი შემთხვევიდან იკვეთება, რომ მათი, როგორც თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია ხშირად იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ძალადობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოებისთვის გარდაცვალებამდე არ ხდება ცნობილი.

ზემოაღნიშნული და ჩვენს მიერ შესწავლილი თვითმკვლელობის სხვა შემთხვევები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კიდევ ერთი უმძიმესი შედეგი თვითმკვლელობამდე მიყვანაა, ხოლო ყველაზე სამწუხარო ტენდენცია დანაშაულის ჩამდენის დასჯის სირთულეებია.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სერვისების შეფასება

საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების 3 სახელმწიფო დაწესებულება – თავშესაფარი ფუნქციონირებს. ოჯახში ძალადობის საკითხის სიმძაფრის და მასშტაბების გათვალისწინებით აღნიშნულ სერვისს უდიდესი როლი ეკისრება. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სახელმწიფო თავშესაფრის მომსახურებით გაცილებით მეტმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა, ვიდრე 2014 წელს. დეტალური სტატისტიკური მონაცემი კი ასე გამოიყურება:

თავშესაფარში მოხვედრის სამართლებრივი საფუძველი	2013	2014	2015
შემაკავებელი ორდერის საფუძველზე	4	11	37
დამცავი ორდერის საფუძველზე	1	0	7
იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ	15	7	9
საპატრულო პოლიციის ოქმით	9	0	0
დაზარალებულად ცნობის საფუძველზე	0	0	4
ჯამი	29	18	57

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგი განახორციელა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგი პირველად ჩატარდა და მიზნად არსებული მდგომარეობის შეფასებასა და იმ საჭიროებების გამოვლენას ისახავდა, რომელიც სერვისით მოსარგებლეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირდება. 2015 წელს შევაფასეთ მონიტორინგის შედეგად მომზადებული რეკომენდაციების განხორციელება.

შეფასებამ ცხადყო, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა დეტალურად შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები და მათი ნაწილი გაითვალისწინა. აღსანიშნავია, რომ გადაიხედა საკვები პროდუქტების ჩამონათვალი და დაემატა ბავშვთა კვებისთვის აუცილებელი საკვები. ასევე, ფონდის ყველა სტრუქტურულ ერთეულში დამტკიცდა ძიძის საშტატო ერთეული და განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს სახალხო დამცველმა ბენეფიციართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათთვის მუშაობისა და პროფესიული გადამზადების შესაძლებლობის შესაქმნელად გასცა, ვინაიდან მცირეწლოვანი შვილების დედები, ბავშვების თუნდაც მცირე ხნით დატოვების შეუძლებლობის გამო, მოკლებულნი იყვნენ ამგვარ შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ფონდმა სრულყოფილად ვერ გაითვალისწინა რიგი რეკომენდაციები. თავშესაფარში სოციალურად დაუცველი პირის მოთავსების შემთხვევაში მისი შემწეობის შეჩერების წესთან დაკავშირებით ფონდი მოკლებულია რეაგირების შესაძლებლობას, ვინაიდან შემწეობის შეჩერებისა და აღდგენის საკითხი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციას უკავშირდება, თუმცა ფონდის დირექციამ, ამავდროულად, აღნიშნული საკითხის განხილვის პროცესში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა. აუცილებელია ამ მიმართულებით გააქტიურდეს მუშაობა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით შემუშავდეს ძალადობის მსხვერპლთათვის შემწეობის შეჩერებისა და აღდგენის სპეციალური წესი, რადგან ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და დახმარების პროცედურების სრულყოფისათვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მომსახურების ხარისხთან იყო დაკავშირებული, მედიკამენტებით დროული მომარაგების შეფერხება იყო. ფონდი, თავის სტრუქტურულ ერთეულებს მედიკამენტებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს. ფონდის ცენტრალური აპარატი ცდილობს დაუყოვნებლივ, ან შესაძლო მოკლე პერიოდში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიაწოდოს მედიკამენტები.[43] მაგრამ მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ პროცედურები შესაძლოა დროში გაიწელოს და დაუყოვნებლივი მიწოდება ვერ მოხერხდეს, რის გამოც მნიშვნელოვანია გადაიხედოს მედიკამენტებით უზრუნველყოფის წესი და შემუშავდეს ისეთი რეგულაციები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადმინისტრაციას ბენეფიციარები დაუყოვნებლივ მოამარაგონ საჭირო წამლებით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭება

2015 წლის ივლისიდან კვლავ განაახლა მუშაობა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებულმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. მას შემდეგ ჯგუფს სულ 27 სავარაუდო მსხვერპლმა მიმართა და სტატუსი 18 პირს მიენიჭა, 6 განმცხადებელს უარი ეთქვა სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო 3 საქმე არ განუხილავთ, ვინაიდან არ შეესაბამებოდა ჯგუფის მიერ საქმის განხილვისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს.

ჯგუფის მუშაობა ზრდის სავარაუდო მსხვერპლთა მომართვიანობას და შესაძლებლობას იძლევა დახმარება გაეწიოს იმ პირებს, ვისაც სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო არ სურთ მიმართონ პოლიციას ან სხვა შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, რათა თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს. სტატუსის მინიჭების შედეგად ოჯახში ძალადობის მსხვერპლს აქვს უფლება ისარგებლოს არსებული სახელმწიფო სერვისებით, თავშესაფრით, ფსიქოლოგიური თუ იურიდიული დახმარებითა და კონსულტაციებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს ჯგუფის შეხვედრებს და ისარგებლოს სათათბირო ხმის უფლებით. რაც მნიშვნელოვანია, რადგანაც იძლევა მისი საქმიანობის გაუმჯობესებისა და არსებული ხარვეზების გამოვლენის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის არსებობა დადებითად აისახა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენისა და დახმარების პროცესებზე, მუშაობის პროცესში გამოვლინდა გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ეფექტიან ფუნქციონირებას და შესაძლოა ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც ეჭვქვეშ აყენებდნენ.

43 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი #07/841, 17/08/2015.

ზოგიერთ შემთხვევებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელი არასამთავრობო ორგანიზაციები არასრულად წარადგენდნენ მსხვერპლის შესახებ ინფორმაციას, რაც ართულებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს და საგრძნობლად ზრდიდა ცდომილების ალბათობას.

გარდა ამისა, გამოიკვეთა სტატუსის გაუქმების პროცედურის არსებობის საჭიროებაც. როდესაც დგინდება, რომ მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ის არ ყოფილა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და მოტყუებით მოიპოვა სტატუსი, გამოსავალი არ არსებობს, რადგან ასეთი პროცედურა გათვალისწინებული არ არის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან მწვავე საკითხია ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება. აუცილებელია სპეციალური წესის შემუშავება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლისა და რეფერირების პროცედურების გათვალისწინებით, ჯგუფს, საქართველოს სახალხო დამცველსა და წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დაიცვან ბავშვთა ინტერესები. ამჟამად, ჯგუფისათვის წარდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სტატუსის განსაზღვრის პროცედურისათვის, რიგ შემთხვევებში ინფორმაცია შეიცავს არასრულწლოვნის მიმართ პირდაპირი ან ირიბი ძალადობის დამადასტურებელ ფაქტებს.

ნარკომომხმარებელი ქალების უფლებრივი მდგომარეობა

მსოფლიო ნარკოვითარების ანგარიშის მიხედვით,[44] ნარკოტიკების მომხმარებელი ყოველი სამი ადამიანიდან - ერთი ქალია. აღსანიშნავია, რომ ნარკომომხმარებელი ქალებისთვის ორმაგ ბარიერს წარმოადგენს მკურნალობის ან ზიანის შემცირების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა. ამას ემატება მთელი რიგი სისტემური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ტიპის ბარიერები. სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, რომ ქალების გადაწყვეტილებაზე, მოიხმარონ ნარკოტიკული საშუალება, ძალიან დიდია პარტნიორის ზეგავლენა, ამასთან ხშირად უკავშირდება სიღარიბეს და კომერციულ სექსმომსახურებას.[45]

კვლევების მიხედვით, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების 40 000 მომხმარებელთა შორის 10% ქალია,[46] თუმცა პრობლემას წარმოადგენს ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არსებობა, რაც თავის მხრივ დაკავშირე-

44 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ–გვერდზე: < http://www.unodc.org/documents/wdr2015/World_Drug_Report_2015.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს];

45 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა, კოალიციური ანგარიში ქალთა უფლებების შესახებ, „ნარკოტიკების მომხმარებელი ქალები“.

46 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების სიმრავლის შეფასება საქართველოში; კონსესუს-ანგარიში, 2010 წელი.

ბულია საზოგადოებრივ სტიგმასთან. ქალებისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს ბავშვის ფაქტორიც, რადგან ხშირია ნარკომომხმარებელი დედისთვის ბავშვზე მეურვეობის უფლების ჩამორთმევის სადამსჯელო ღონისძიებად გამოყენება. ეს ფაქტორი კი აიძულებს ნარკომომხმარებელ ქალებს უარი თქვან სხვადასხვა სერვისის მიღებაზე და თავი შეიკავონ სახელმწიფო პროგრამებში ჩართვისგან იმ შემთხვევაშიც, როდესაც განიცდიან ძალადობას პარტნიორის მხრიდან.

საგანგაშოა მონაცემი, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი ქალების დაახლოებით 80% ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ჯგუფს მიეკუთვნება.[47] აღნიშნულის გათვალისწინებით კი პრობლემას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მათი განთავსება, რადგან თავშესაფარი ვერ უზრუნველყოფს მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდებას.

ამასთან, დაბრკოლებას წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული ორმაგი სტანდარტი ნარკოდამოკიდებული ქალებისა და კაცების შესახებ, რომლის მიხედვითაც კაცების შემთხვევაში დიდია ოჯახის მხრიდან მხარდაჭერა. ნარკომომხმარებელი ქალები კი სრულიად დაუცველნი და სტიგმატიზებულნი არიან ოჯახებისა და ზოგადად, საზოგადოებისგან.

აღნიშნული გამოწვევების ფონზე, პრობლემას წარმოადგენს, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს და არსებული პროგრამები არ პასუხობს ქალთა საჭიროებებს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ მოქმედებს მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი საპატიმროში მოხვედრამდე ჩართული იყო აღნიშნულ პროგრამაში, იგი გაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ასრულებს ამ პროგრამას. სხვა შემთხვევაში პაციენტს ხვდება ნარკოლოგი და ადგილზე უნიშნავს მკურნალობას. გამწვავების შემთხვევაში კი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამკურნალო დაწესებულებაში გაჰყავთ.

2014 წელს საქართველომ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიში წარუდგინა, რომელიც კომიტეტმა 58–ე სესიის ფარგლებში განიხილა. კომიტეტმა დასკვნით რეკომენდაციებში შეშფოთება გამოთქვა, რომ არ არსებობს გენდერულ საჭიროებებზე მორგებული სამკურნალო სერვისები, რომელიც ორიენტირებული იქნება ზიანის შემცირებაზე და მეტად ხელმისაწვდომს გახდის მას ქალებისთვის.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის 24-ე ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც ეხება მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას ქალებისთვის, მოუწოდებს სახელმწიფოს ჩაატაროს ეროვნული მასშტაბის კვლევა, რათა შემდგომი სტრატეგიული დოკუმენტების შესადგენად დადგინდეს ნარკომომხმარებელი, მათ შორის ორსული ქალების რაოდენობა. ამასთან, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გენდერულად მგრძნობიარე მკურნალობის

47 კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“, საქართველოში ნარკომომხმარებელი ქალების ოჯახებში არსებული ძალადობა, 2012 წელი.

სერვისები, ზიანის შესამცირებლად, მათ შორის ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში, ტრეფიკინგის მსხვერპლი მილიონობით ადამიანი ხდება. შრომით ტრეფიკინგთან ერთად, აქტუალურია ქალებით ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა სექსტრეფიკინგი.

2003 წლიდან, საქართველოში ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა;[48] შემუშავებულია კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ და დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. მათ შორისაა: ცხელი ხაზი, იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ 2015 წლის სტატისტიკური მონაცემები[49] ასე გამოიყურება:

143[1] და 143[2] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაწყებული გამოძიება, პირთა რაოდენობის მიხედვით	რაოდენობა
სავარაუდო სექსუალური ექსპლუატაცია	10
სავარაუდო შრომითი ექსპლუატაცია	7
არასრულწლოვანთა სავარაუდო ყიდვა-გაყიდვის ფაქტი	1
სულ	**18**

საქართველოში ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ორი თავშესაფარი: თბილისსა და ბათუმში. ისინი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულებია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

თავშესაფარი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი მომსახურების

48 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 143[1] და 143[2]

49 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/statistika/2014/statistika2.pdf > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კერძოდ: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას; ამასთან, ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას.

2015 წელს თავშესაფრით მოსარგებლეთა სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

მონაცემები ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების შესახებ	პირი	დამოკიდებული პირი
მუდმივმოქმედი ჯგუფის სტატუსი საფუძველზე თავშესაფრით სარგებლობა	3	1
დაზარალებულად ცნობის საფუძველზე თავშესაფრით სარგებლობა	3	1
ცხელი ხაზის კონსულტაციით მოსარგებლე პირთა რაოდენობა	189	
პირთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს კომპენსაცია	18	

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფარი) მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა კეთილსაიმედოა. თუმცა, გამოიკვეთა რიგი პრობლემური საკითხებიც, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სერვისის მიწოდების ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს მოწყობილი საცხოვრებელი და განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესები. ამასთან, აღსანიშნავია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემებიც. არცერთი თავშესაფარი არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის და მათი განთავსება საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელია. პრობლემას წარმოადგენს თავშესაფარში გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირთა განთავსებაც.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა მხედველობაში მიიღო ნაწილი რეკომენდაციებისა და გვაცნობა, რომ 2015 წლის ბოლომდე დაიგეგმა პანდუსის მოწყობა მეორე დაწესებულებაშიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა სრული ხელმისაწვდომობისათვის მხოლოდ პანდუსი არ არის საკმარისი და მნიშვნელოვანია თუნდაც ერთი დაწესებულების სრული აღჭურვა, რათა საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში აღნიშნულ პირებს სრულყოფილად მოემსახურონ.

მოუგვარებელი დარჩა პრობლემა გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირებისათვის სერვისის მიწოდების შეფერხებასთან დაკავშირებით. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს შესაბამისი ფართი, ვერ ხერხდება ასეთი ტიპის დაავადების მქონე პირთა იზოლაცია, ამიტომ მათი მიღება შეუძლებელია. სპეციალურ ანგარიშში შევიდა შესაბამისი რეკომენდაცია, ინდივიდუალური საცხოვრისისა თუ ცალკე თავშესაფრის მოწყობის გზით, გადამდები ინფექციური დაავადების მქონე პირთათვის სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებით, თუმცა მისი გათვალისწინება ამ დრომდე ვერ ხერხდება. ასევე არ მოხერხდა თავშესაფრის ეზოების მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გათვალისწინება, ვინაიდან დაწესებულების ადგილმდებარეობა არ იძლევა ამის შესაძლებლობას[50].

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ადმინისტრაციამ, ბენეფიციართა უფლებებისა და მათი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, გამოთქვა მზადყოფნა შეაფასოს და გაიზიაროს საქართველოს სახალხო დამცველის შესაბამისი რეკომენდაციები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი მომავალშიც გეგმავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების მონიტორინგს.

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რაზეც დაფუძნებულია ქვეყნის დემოკრატიული განვითარება.

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ჰომოფობიური განწყობა მჭიდრო კავშირშია საზოგადოების სოციალური და კულტურული შემწყნარებლობის ზოგად დონესთან. 2012 და 2013 წლების 17 მაისს კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის სურვილით შეკრებილი ადამიანების მიმართ განხორციელდა სიძულვილით მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები. პოლიციამ კი ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა. 2014 წლის 17 მაისი არ აღნიშნეს ლგბტ თემის წარმომადგენლებმა და უფლებადამცველებმა, რადგან გასული წლების გამოცდილებით მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი არაერთი მოწოდების მიუხედავად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და შემწყნარებლობის კულტურის ჩამოყალიბებისათვის ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. კვლავ

50 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი #07/831, 12/08/2015.

პრობლემას წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დროული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული გამოძიების წარმართვა. სამი წელი გავიდა და სამწუხაროდ, არცერთ ძალადობის ფაქტზე არ დამდგარა სამართლებრივი შედეგი.

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება - „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის მიხედვით, სასამართლომ დაადგინა 2012 წლის 17 მაისს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე–3 (წამების აკრძალვა) და მე–11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) მუხლების დარღვევა მე–14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით. გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო უნდა იყოს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკაში განხორციელების გარანტი. ასევე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ამ უფლებების რეალიზაციის პროცესში საფრთხე არ დაემუქროს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მისასალმებელია 2015 წლის 17 მაისის, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის, მშვიდობიან გარემოში აღნიშვნა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ მოეხდინათ კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია და შეკრებილიყვნენ ლგბტ ადამიანების მიმართ სოლიდარობის გამოსახატავად და ძალადობის დასაგმობად. აქციის მიმდინარეობა სამართალდამცავთა განსაკუთრებული მობილიზაციისა და დაცვის განსაკუთრებულ პირობებში წარიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. განხორციელდა ჩატარებული სამი აქციის მონიტორინგი და მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა ცხელი ხაზი, თუმცა ძალადობის, აქციის ხელშეშლისა თუ ადამიანის უფლებადარღვევის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.

სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობა

კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სამოქალაქო აქტებში ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობა. რაც თავის მხრივ, ხელშემშლელი ფაქტორია განათლების მიღების, დასაქმებისა თუ სხვა პროცესებში. ევროკავშირში ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ტრანსგენდერ პირთა 73% მიიჩნევს, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარების გამარტივებული პროცედურები მათ უფრო კომფორტულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს[51].

გენდერული იდენტობა ეხება თითოეული ადამიანის მიერ გენდერის ღრმა, შინაგან და ინდივიდუალურ განცდას, რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს სქესს, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს. გენდერის სამართლებრივი აღ-

51 სახელმძღვანელო გენდერის სამართლებრივი აღიარება, 2013 წლის დეკემბერი, გვ.8.

იარება არის ადამიანის გენდერული იდენტობის და სახელის ოფიციალური აღიარება სამართლებრივ დოკუმენტებში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა გენდერის სამართლებრივი აღიარების მნიშვნელობის შესახებ ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების დაცვასთან მიმართებაში[52].

გარდა აღნიშნულისა, გენდერის სამართლებრივი აღიარება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დოკუმენტები მოიცავენ სახელის და სქესის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერ ადამიანებს არ ეძლევათ სამოქალაქო დოკუმენტებში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის შეცვლის შესაძლებლობა, ამ დოკუმენტებით სარგებლობისას იზრდება მათი დისკრიმინაციის რისკი და ალბათობა იმისა, რომ შესაძლოა, გახდნენ არასათანადო მოპყრობის ან ძალადობის მსხვერპლნი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სქესის ჩანაწერის შეცვლის საკითხს, კერძოდ, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლი სქესის ცვლილებას მიუთითებს სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძვლად, თუმცა არ არსებობს დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც პირმა უნდა წარადგინოს სამოქალაქო აქტებში შესაბამისი ცვლილების განხორციელებისთვის, ასევე, არ არის განსაზღვრული ამ მუხლის მიზნებისთვის რა ითვლება სქესის შეცვლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს[53], რომ უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალური პროცედურის არარსებობამ შესაძლოა განაპირობოს ადამიანის უფლების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი სქესის შეცვლის შესაძლებლობა აღიარებულია, პრაქტიკაში ტრანსგენდერ პირთა დიდი ნაწილი აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას მოკლებულია, შესაბამისი პროცედურული წესის არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ა.ხ.-ს განცხადება, რომლის მოთხოვნა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის ჩანაწერის შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ხსენებული საქმის ირგვლივ სახალხო დამცველმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2015 წლის 18 მაისს წინადადება (#08/3703) წარუდგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. წინადადება შეეხებოდა სამოქალაქო აქტებში სქესის ჩანაწერის ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურული წესის შემუშავებას და დამტკიცებას. საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების მიუხედავად, არსებული პრაქტიკა არ შეცვლილა და ტრანსგენდერ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა ამ მხრივ არ გაუმჯობესებულა.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თუ სამართლებრივი პრაქტიკა მიმართულია იმისკენ, რომ სახელმწიფოებმა შესაძლებლობა მისცენ ტრანსგენდერ

52 სახელმძღვანელო გენდერის სამართლებრივი აღიარება, 2013 წლის დეკემბერი.

53 მალონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1984 წლის 2 აგვისტო, აპლიკაციის #8691/79; § 79-80.

ადამიანებს ოფიციალურ დოკუმენტებში სახელისა და სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი, ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ. ამასთან, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაუმართლებელი შეზღუდვების აღმოფხვრას, რომელიც თან ახლავს სქესის ჩანაწერის შეცვლის პროცედურას.

2014 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მე-4 და მე-5 გაერთიანებული ანგარიშის განხილვის შედეგად მომზადებულ დასკვნით რეკომენდაციებში[54] მოუწოდა სახელმწიფოს „მიიღოს ზომები ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალების მიერ განცდილ ძალადობასა და შევიწროებასთან დაკავშირებით, ასევე, გააუქმოს ტრანსგენდერი ადამიანებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცესში არსებული შეზღუდვები."

ევროპის მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციის, „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ" (MC/Rec (2010)5) მიხედვით, განსაზღვრულია სქესის კვლავმინიჭებისა და სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ პირის სქესის შეცვლის სრული სამართლებრივი აღიარება; კერძოდ, შესაძლებელი უნდა გახდეს სახელისა და სქესის ჩანაწერის შეცვლა სწრაფი, გამჭვირვალე და ადვილად ხელმისაწვდომი გზით." [55]

ამავე რეკომენდაციის მიხედვით, უნდა გადაიხედოს არაჰუმანური მოთხოვნები რომელთა შესრულება სქესის სამართლებრივი აღიარებისთვის არის სავალდებულო, მათ შორის ის ნაწილი, რომელიც ფიზიკური ხასიათის ცვლილებებს ეხება. ამასთან, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ტრანსგენდერი ადამინებისთვის სქესის შეცვლის მომსახურების ეფექტიანი ხელმისაწვდომობა, რომელიც თავისუფალი იქნება არაგონივრული მოთხოვნებისგან. სერვისებზე ხელმისაწვდომობა უნდა მოიცავდეს ტრანსგენდერთა ჯანდაცვის სფეროში არსებულ ფსიქოლოგიურ, ენდოკრინოლოგიურ და ქირურგიულ მომსახურებას. არცერთ ადამიანს არ უნდა ჩაუტარდეს სქესის შეცვლის პროცედურა მისივე თანხმობის გარეშე.[56]

რეკომენდაციების განმარტებით მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გენდერის კვლავმინიჭებას წინაპირობად უძღვის ისეთი პროცედურები, როგორიცაა შეუქცევადი სტერილიზაცია, ჰორმონული თერაპია, წინასწარი ქირურგიული პროცედურები და ზოგჯერ იმის დასტურიც, რომ ადამიანს შეუძლია თავისი გენდერის სოციალურ როლში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრება. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთათვის ჰორმონული ან ქირურგიული პროცედურების გავლა ჯან-

54 საქართველოს მე–4 და მე–5 გაერთიანებული ანგარიშები CEDAW კომიტეტში.

55 ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ" – CM/REC(2010) 5. პუნ. 21.

56 ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ" – CM/REC(2010) 5. პუნ. 20, პუნ. 35.

მრთელობის გამო შეუძლებელია. შესაბამისად, საჭიროა არათანაზომიერი მოთხოვნები გადაიხედოს და შეიცვალოს[57].

საინტერესოა ევროპის ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის მოსაზრება[58] ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობასთან დაკავშირებით. თომას ჰამარბერგი აღნიშნავს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების რიცხვი ცოტაა, თუმცა ტრანსგენდერთა საზოგადოება მრავალფეროვანი. არსებობენ ტრანსგენდერები, რომელთაც არ აქვთ ჩატარებული სქესის შეცვლის ოპერაცია, ტრანსგენდერები, რომელთაც სქესი შეცვლილი აქვთ, ტრანსგენდერები, რომელთაც არ სურთ ოპერაციის ჩატარება ან არ აქვთ ოპერაციის გაკეთების შესაძლებლობა. ამასთან, აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სქესის შეცვლის მიზნით, ოპერაციული ჩარევა სამედიცინო თვალსაზრისით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამართლებული არ არის, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი პროცედურა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდის სურვილებს და საჭიროებებს. მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ ტრანსგენდერი ადამიანების ჯგუფი ერთადერთია ევროპაში, რომელიც იძულებით სტერილიზაციას ექვემდებარება.

რეკომენდაციები

გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას სტრუქტურული ერთეული აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე, რომელიც იმუშავებს გენდერული თანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. განისაზღვროს მისი მანდატი, ადამიანური და ფინანსური რესურსები
- სამინისტროებმა ხელი შეუწყონ გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის ანდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა/დამტკიცებით
- ხელი შეეწყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე შიდა ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, კონცეფცია) შექმნასა და განხორციელებას

57 ევროპის მინისტრთა საბჭოს კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის „სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“ – CM/REC(2010)5 განმარტებითი მემორანდუმი პუნ. 20-21.

58 ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: < https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1476365 > [ბოლოს ნანახია 2016 წლის 1 მარტს].

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- გაძლიერდეს გამგეობის დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილება, საქმიანობის არეალი და რესურსები
- საკრებულოს დონეზე ხელი შეეწყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულის შექმნასა და მდგრადობის უზრუნველყოფას

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალთა მონაწილეობის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- იწარმოოს და გაანალიზდეს დასაქმებულთა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების ხელშემშლელი ბარიერების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად

საქართველოს პარლამენტს:

- გაითვალისწინოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია და მიიღოს სპეციალური დროებითი მექანიზმი – კვოტირების სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- სოფლის განვითარების პროგრამებისა თუ თემისათვის პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე უზრუნველყოს ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა
- იწარმოოს და გაანალიზდეს დასაქმებულთა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა ქალთა თანამდებობრივი დაწინაურების ხელშემშლელი ბარიერების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს:

- ხელი შეეწყოს ქალთა მონაწილეობას სოფლის განვითარების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე
- დაგეგმილი პროგრამები გაანალიზდეს და პრიორიტეტების გამოვლენისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გენდერული ასპექტების გათვალისწინებას

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება მიმართულებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატს:

- ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შეისწავლოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხედვა და საჭიროებები
- ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირება და ჩართულობა
- ზედამხედველობა გაეწიოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობასა და მათ მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელ შესრულებას, დაიხვეწოს ანგარიშგების სისტემა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- გადაიხედოს და დაიხვეწოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაიგეგმოს ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის
- ხელი შეეწყოს სარეაბილიტაციო პროგრამების დაგეგმვას და განხორციელებას სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს:

- გაძლიერდეს მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებები, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის გაწეული სამართლებრივი დახმარებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინფორმირებას

ქალთა ეკონომიკური აქტივობის და შრომითი უფლებების მიმართულებით

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- განახლდეს ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ცვლილებებზე მუშაობა
- განისაზღვროს დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების დეფინიცია და შემუშავდეს ადეკვატური სანქციების სისტემა

საქართველოს მთავრობას:

- დაიწყოს შესაბამისი პროცედურები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე დედობის დაცვის კონვენციის ხელმოწერისა და შემდგომი რატიფიცირების მიზნით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უახლოეს პერიოდში გადაიხედოს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობისა და თანმდევი გასაცემლის მიღების წესი, რათა გამოირიცხოს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები

მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- განისაზღვროს მრავალშვილიანი მშობლის დეფინიცია და განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება
- შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, სოციალური შეღავათები მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაინერგოს მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლების დახმარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის მოხდეს სოციალური შეღავათების არსებულ სისტემაში გათვალისწინება

ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს:

- ხელი შეეწყოს მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისაკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას

გენდერული თანასწორობის დამკვიდრების საკითხებში მედიასაშუალებების როლის მიმართულებით

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- განხორციელდეს გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება სარედაქციო პოლიტიკაში, ხელი შეეწყოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საინფორმაციო–საგანმანათლებლო გადაცემების მომზადებას

უფლებადამცველი ქალების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებულ სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში განისაზღვროს უფლებადამცველი ქალების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის ღონისძიებები, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის განხორციელების საკითხები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უფლებადამცველი ქალების მიმართ არსებული შესაძლო უფლებადარღვევის შემთხვევაში ჩამოყალიბდეს მგრძნობიარე მიდგომა და გათვალისწინებული იქნას მათი საფრთხის რეალური აღქმა, საქმიანობიდან გამომდინარე არსებულ მომატებულ რისკთან ერთად

რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე
- ხელი შეეწყოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას კონტრაცეპტივების გამოყენებისა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე, მათ შორის სოფლის ამბულატორიების აქტიური ჩართულობით
- დაიგეგმოს და განხორციელდეს გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის საინფორმაციო–საგანმანათლებლო შეხვედრები საქართველოს რეგიონებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- დაინერგოს სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების ძირითადი საკითხების სწავლება
- ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით მოეწყოს სასემინარო სწავლებები სკოლის მოსწავლეთათვის რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე

ადრეულ ასაკში ქორწინების მიმართულებით

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს:

- უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულებაზე
- ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევისას განხორციელდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურით გათვალისწინებული კოორდინაცია რეფერირების მონაწილე სუბიექტებთან
- მონიტორინგი გაეწიოს ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების აღრიცხვის სისტემის წარმოებას, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც იკვეთება მსგავსი შემთხვევების აღრიცხვიანობის ხარვეზები

საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- სრულყოფილად შეისწავლოს ადრეულ ასაკში ქორწინების და მშობლების მხრიდან განხორციელებული უგულებელყოფის ფაქტები და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება
- შემუშავდეს სტრატეგია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად

საქართველოს მთავარ პროკურატურას:

- მოახდინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება სსკ-ის 140 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ყველა შემთხვევაზე
- მიიღოს პრევენციული ზომები სსკ–ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენციის მიზნით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაციის განხორციელებას სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მათ შორის, შეტყობინების ვალდებულების შესრულებას

- უზრუნველყოს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება, რათა მოახდინოს ადგილობრივი თემის (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა) ინფორმირება და შესთავაზოს კონსულტაციები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესაბამისად, შექმნას გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე ზედამხედველობის სისტემა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გამოქვეყნდეს ყოველწლიურად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- მონიტორინგი გაეწიოს ოჯახში ძალადობის შემთხვევის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელ შესრულებას
- შეიქმნას სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე რეაგირებაზე
- დაინერგოს რისკის შეფასების და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმი
- იწარმოოს ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები და გაანალიზდეს ფაქტის ირგვლივ არსებული საჭირო მონაცემები
- გაანალიზდეს სსიპ 112–ის სამსახურში შესაძლო ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- ხელი შეეწყოს ცხელი ხაზის მომსახურების ხელმისაწვდომობას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის
- გადაიხედოს მედიკამენტებით უზრუნველყოფის წესი და შემუშავდეს ისეთი რეგულაციები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბენეფიციართა საჭირო წამლებით მომარაგება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- თავშესაფარში სოციალურად დაუცველი პირის მოთავსების შემთხვევაში შემწეობა იმგვარად შეუჩერდეს, რომ სერვისის დატოვების შემდეგ ის ავტომატურად აღუდგეს
- ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით გაძლიერდეს კოორდინაცია და თანამშრომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან
- გაძლიერდეს სოციალური მუშაკების როლი და ჩართულობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის

ნარკომომხმარებელი ქალების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს და დაინერგოს გენდერულ საჭიროებებზე მორგებული სამკურნალო სერვისები, რომელიც ორიენტირებული იქნება ზიანის შემცირებაზე და გაზრდის ქალთა ხელმისაწვდომობას
- განხორციელდეს ეროვნული კვლევა და დადგინდეს ნარკომომხმარებელ ქალთა რაოდენობა, მათ შორის დადგინდეს რამდენი ქალი საჭიროებს მკურნალობას, ასევე ზიანის შემცირების, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებს
- გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები და ქალთა საჭიროებები ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიაში

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეისწავლოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ნარკომომხმარებელი ქალების თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროება და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, თავშესაფრის სპეციალური სერვისის ხელმისაწვდომობისათვის

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართულებით

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- უზრუნველყოს თავშესაფრის სერვისის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

- დაინერგოს გადამდები ინფექციური დაავადების მქონე პირთათვის სერვისის მიწოდება, ინდივიდუალური საცხოვრისისა თუ ცალკე თავშესაფრის მოწყობის გზით
- მოწესრიგდეს თავშესაფრების ეზოები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს უსაფრთხოების სტანდარტების სრულ დაცვაზე
- შემუშავდეს და დაინერგოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მომსახურების სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის ფუნქციონირების გამართვას

ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, ეფექტიანი და ანგარიშვალდებული გამოძიება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- დაინერგოს ტრანსგენდერი პირებისთვის სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების მიერ გაცემულ ყველა ძირითად დოკუმენტში მათი გენდერული იდენტობის ასახვის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა.